სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/97

ქ. თბილისი 21 ივლისი 2026წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან სტუ-ში 2026 წლის 17 ივლისს შემოსული #941836 წერილის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2026 წლის 20 ივლისის საბჭოს სხდომის №13 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკა“; პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს შემდეგნირად:
   - ფიზიკის მაგისტრი/Master of Physics (მიენიჭება 120 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის, არანაკლებ 60 კრედიტის შესრულების შემთხვევაში)
   - კვლევის მაგისტრი ფიზიკაში/ Master of Research in Physics (მიენიჭება 120 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის, არანაკლებ 60 კრედიტის შესრულების შემთხვევაში)
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**